# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

**N 2593 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი**

## შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის $2^3$ პუნქტის შესაბამისად:

1. მდინარე საშუალაზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის („საშუალა 1 ჰესი“ და „საშუალა 2 ჰესი“) მშენებლობის მიზნით, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ (ს/კ: 404485188) მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №28.24.25.029; №28.24.25.028; №28.24.25.035; №28.24.25.026; №28.24.25.030; №28.24.25.025; №28.24.25.032; №28.24.25.031; №28.24.25.034 და №28.24.25.036) მდებარე, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) „ჩვეულებრივი წაბლი“ (*Castanea sativa* Mill.) – 55 (ორმოცდათხუთმეტი) ინდივიდი;